ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6229961

ნომერი: AR1934571

თარიღი : 16.11.2022

გაცემის თარიღი : 01.12.2022

გაცნობის თარიღი : 01.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნინო რამიშვილის II ჩიხი, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16

ნოემბერს №AR1934571 განცხადებით მომართა ირაკლი ბარნაბიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის II ჩიხი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.14.005.268), მრავალფუნქციური კომპლექსის (ბ ბლოკის) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 08 სექტემბრიდან 2023 წლის 08 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 26 ოქტომბრის №6180388 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდა: 991.5 კვ.მ., საერთო ფართობად: 14218.4 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 ბრძანებით შეთანხმებული -13.10 და 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2022 წლის 03 ოქტომბრის №AR1926280 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 გადაწყვეტილების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 5730.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 5749.0 კვ.მ., საოფისე ფართობი 991.5 კვ.მ-ის ნაცვლად 993.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1875.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1875.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1453.3 კვ.მ-ის ნაცვლად 1457.7 კვ.მ., დამხმარე ფართობი 19.3 კვ.მ-ის ნაცვლად 77.8 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 4147.9 კვ.მ-ის ნაცვლად 4148.2 კვ.მ., საერთო ფართობი 14218.4 კვ.მ-ის ნაცვლად 14301.5 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება და ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 5749.0 კვ.მ., საოფისე ფართობად: 993.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 1875.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1457.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 77.8 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 4148.2 კვ.მ., საერთო ფართობად: 14301.5 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 ბრძანებით შეთანხმებული (მათ შორის 2022 წლის 26 ოქტომბრის №6180388 ბრძანებით ჩანაცვლებული -13.10 და 0.00 ნიშნულის) არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 სექტემბრის №6115080 და 2022 წლის 26 ოქტომბრის №6180388 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.